**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

13/09/2024

MES 9 24 0001118782

გადაწყვეტილება

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ 211360203) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) ერთი წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების პირობით.
2. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400-ით, მათ შორის:

- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამაზე - 560 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი PBL პროგრამაზე - 190 ადგილი;
- დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამაზე - 500 ადგილი;

3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1).
4. დაწესებულების შუამდგომლობის საფუძველზე, გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 30 აგვისტოს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 30 აგვისტოს №1118809, 13/09/2024 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილი იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

დანართი 1. დაწესებულების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**საფეხური**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**	**ECTS**	**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი//** **კოდი 120/ნ კვალიფიკაციების მიხედვით**	**პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული, აკრედიტებული, პირობით აკრედიტებული, საერთაშორისო აკრედიტაცია)**	**შესაბამისი** **გადაწყვეტილების ნომერი**	**შესაბამისი** **გადაწყვეტილების** **თარიღი**
1.	დიპლომირებული მედიკოსი	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	360	0912.1.1 - მედიცინა	აკრედიტებული	706153	29/06/2021
2.	დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	0912.1.1 - მედიცინა	აკრედიტებული	706154	29/06/2021
3.	დიპლომირებული მედიკოსი (ე-პდს)	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	375	090101 - დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი)	აკრედიტებული	154	04/07/2019
4.	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებები	დოქტორანტურა	ქართული	მედიცინის დოქტორი	30	0912.1.1 - მედიცინა	აკრედიტებული	1019392	21/10/2020